


„ვაიმტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია



27 ნოემბერი 2019 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში დიდებში

თბილისი

2019

27 დეკემბერი – 29 დეკემბერი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.
- საქართველოს ჩემპიონატზე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციიდან მოწვეული იქნება შეჯიბრების კომისარი.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ვაჟი ძიუდოისტები, რომლებიც მოიპოვებენ ასპარეზობის უფლებას 2019 წლის 14-15 დეკემბერს გასამართ საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრებაზე და ძიუდოისტები, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან ამ შეჯიბრებისაგან. პირადმა მწვრთნელებმა სალიცენზიო შეჯიბრებიდან გათავისუფლებული ძიუდოისტები ჩემპიონატში მონაწილეობისთვის უნდა დაარეგისტრირონ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში.

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს.
- შეჯიბრი ჩატარდება 2019 წლის 28 დეკემბერი - 29 დეკემბერი, ქ. თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე თბილისი - 27 დეკემბერი, წასვლის დღე - 30 დეკემბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10.00 საათზე.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში: 60 კგ; 66 კგ; 73 კგ; 81 კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;
- პირველი დღე 28 დეკემბერი - 60 კგ; 66 კგ; 73 კგ;
- მეორე დღე 29 დეკემბერი - 81 კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;

აწონვა: თბილისში

27 დეკემბერს თბილისში, ძიუდოს აკადემია

60 კგ; 66 კგ; 73 კგ;

არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

28 დეკემბერი თბილისში, ძიუდოს აკადემია

81 კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;

არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

VI. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი, გამარჯვებულთა დაჯილდოვება და სხვა) უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;


ელექტრონული მისამართი: judofedgeo@gmail.com

საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577 99 44 07

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, ფედერაციის ადმინისტრაციის იმსჯელებს სპორტსმენთა მიერ მიღწეული შედეგის ანულირებაზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიმანოს ქონა.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი